



Региональная общественная организация  
общество русско-грузинской дружбы

**ДЗАЛИСА**



რუსეთ - საქართველოს მეგობრობის  
რეგიონალური საზოგადოება

**ძალისა**

Россия, 105077 Москва, Ср. Первомайская, 23-5

тел: (495) 782-4907, тел/факс: (495) 465-9576

http://www.dzalisa.org info@dzalisa.org



საქართველოს პრეზიდენტს - ბატონ მიხეილ სააკაშვილს!

პატივცემულო პრეზიდენტო!

მოგესალმებით რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება „ძალისას“ და წმ. გიორგისა და წმ. ნინოს სახელობის სამძმოს სახელით, მოგილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლისთავს და გისურვებთ სულიერ და ფიზიკურ სიმტკიცეს.

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ძალისას“ ამა წლის სამ ივნისს უსრულდება 25 წლისთავი, ხოლო ჩვენს სამძმოს კი - 20 წელი. ჩვენი საზოგადოების ძირითადი მიზანია, რომ ყველანაირად ხელი შევუწყოთ და განვამტკიცოთ რუსი და ქართველი ხალხის სულიერი, პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიური კავშირები და შევქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ რუსეთში შეიქმნას ძლიერი ქართული კულტურული ავტონომია.

ჩვენ საფუძვლიანად შევისწავლეთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ჩვენი მოკრძალებული შესაძლებლობების მიუხედავად, დიდი ენთუზიაზმითა და უანგარო მრავალწლიანი საქმიანობით პირნათლად ვემსახურებით ჭეშმარიტებას, ჩვენი ერთმორწუნე ერების სულიერი ძმობის გამტკიცების საქმეს. გაწეულია დიდი შრომა სულიერების, განათლების და კულტურულ სფეროში.

ჩვენ ყოველდღიურად დიდი ყურადღებითა და გულისტკივილით ვადევნებთ თვალს ყველაფერს, რაც ხდება დღეს ჩვენს სამშობლოში და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში. ჩვენს საზოგადოებას ეკისრება განსაკუთრებული მისია, რომ სახალხო დიპლომატიის ყველა საშუალებებით ყველანაირად ხელი შევუწყოთ ჩვენი ორი ერის დაახლოებას და მშვიდობიან თანაარსებობას ყოველვარი აგრესიისა და ჩაურევლობის გარეშე ქართული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში.

მაქვს უდიდესი პატივი, გაცნობოთ ჩვენი საზოგადოების აქტივის მიერ მიღებული გადაწყვეტილება: საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავზე თქვენ, როგორც რესპუბლიკის პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის, პროგრესული რეფორმების გატარების საქმეში უდიდესი დამსახურებისათვის და ქართული სახელმწიფოს მოწინავე მსოფლიო ქვეყნების სიაში დამკვიდრებისათვის, ჯილდოვდებით ჩვენი საზოგადოების მიერ დაარსებული საზოგადოებრივი ჯილდოთი - წმიდა ნინოს სახელობის მეორე ხარისხის ორდენით.

ღრმა პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით-  
რუსეთ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება „ძალისას“ პრეზიდენტი და სამძმოს თავმჯდომარე

თამაზ ჯანდიერი

26 მაისი 2011 წ. ქ.  
მოსკოვი.